

გ-04/211-17
16.06.17



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA



MES 0 17 00655476

14/06/2017

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს
ქ-ნ ანა ნაცვლიშვილს

მის:ქ.თბილისი, ჯ.კახიძის N15

ქალბატონო ანა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2017 წლის 07 ივნისის განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N625345; 09.06.2017) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, რომ მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით (ბიოლოგიის სტანდარტი, მე-8 კლასი) გათვალისწინებულია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისად, თემა „ნაადრევი ქორწინება“, როგორც დედისა და ნაყოფის ჯანმრთელობის დარღვევის რისკ-ფაქტორი, აგრეთვე სოციალური პრობლემების მიზეზი განხილულია ბიოლოგიის სახელმძღვანელოში (იხ. ნ. ზაალიშვილი, ნ. იოსებაშვილი ბიოლოგია მე-8 კლ. გამომცემლობა ტრიასი გვ. 97-99). ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმის გადამუშავებაზე და ბიოლოგიის სტანდარტსა და წლიურ პროგრამებში ნაადრევი ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო მეტად იქნება აქცენტირებული. ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის პროცესში იცვლება სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაც. ამ დრომდე ამ საგნის სწავლება IX კლასიდან იწყებოდა. რევიზირებული სასწავლო გეგმით სამოქალაქო განათლების სწავლება დაიწყება VII კლასიდან. სწორედ მეშვიდე კლასში მოსწავლეები შეისწავლიან თემას „ჯანსაღი ცხოვრება“, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ადრეული ქორწინების საკითხი. ახალი სასწავლო პროგრამა ხელს შეუწყობს ადრეული ქორწინების საკითხზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას.

ასევე, გაცნობებთ, რომ ადრეული ქორწინების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია მშობელთათვის საინფორმაციო კამპანიის წარმოება ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგების შესახებ. 2015-2016 წლებში საქართველოს განათლების სამინისტრო ახორციელებდა „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის“ ქვეპროგრამას, რომლის ფარგლებში, ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით, სისტემატურად ტარდებოდა გასვლით ღონისძიებები საქართველოს რეგიონებში, სადაც შედარებით ხშირად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები. საჯარო სკოლებში მშობლებისთვის ჩატარდა შეხვედრები,

სადაც განხილულ იქნა ადრეული ქორწინებასთან დაკავშირებული რისკები. შეხვედრებში მონაწილეობას ღებულობდნენ ფსიქოლოგი, შსს-ს წარმომადგენელი, სოციალური მუშაკი, აგრეთვე ადგილობრივი რელიგიური და თემის ლიდერები. ჩატარდა 21 საჯარო შეხვედრა ლაგოდეხის, საგარეჯოს, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების სკოლებში (კაბალი, ყარაჯალა, უზუნთალა, განჯალა, ნახიდური, ქვემო ბოლნისი, თაქალო, მუდანლო, ქემალო, იორმულანლო, ლამბალო, დუზაგარამა, კალინინო, ქესალო, ამამლო, კარაბულახი, ტალავერი, პანტიანი, ბაზაქლო, გარდაბნის N3 საჯარო სკოლა).

ასევე, „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის, ყველა ტიპის ძალადობის, მათ შორის ადრეული ქორწინების შესახებ მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2013-2016 წლებში ჩატარდა შემდეგი სასკოლო კონკურსები: ვიდეორგოლების კონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ“; ესეების კონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ“; ბლოგების კონკურსი „ჩვენ ვიცავთ თანატოლების უფლებებს“; ვიდეორგოლების კონკურსი „ევროპა ჩემს ობიექტივში“ მოსწავლეთა დღიურების კონკურსი; კონკურსებში მოზარდებმა გამოხატეს საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა: გენდერული თანასწორობა, ნებრისმიერი ტიპის ძალადობის, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ტოლერანტობა, ადრეული ქორწინების რისკები და სხვა; ასევე ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია ძალადობის თემაზე. კონფერენციის მიზანი იყო მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება ისეთ თემებზე, როგორცაა ძალადობა, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია და მათი პრევენცია.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში (სამმართველო) არასრულწლოვანთა ქორწინების შესახებ ინფორმაციის შემოსვლის შემთხვევაში არასრულწლოვნისა და მისი მშობლების/მეურვისთვის ხდება ფსიქოლოგიური მომსახურების სერვისის შეთავაზება.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,

**საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე**

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
მიმიგური მარიამი

მ. მიმიგური